ლიმფური გზების გამოკვლევა საკონტრასტო საინიექციო მასებით (ტუმი, სხვადასხვა საღებავები) შევსების შემდგომ ან ვიტალური მიკროსკოპიით მხოლოდ ფასციურ სტრუქტურებში (მაგ: ღვიძლის კაფსულა, ნაწლავის ჯორჯალი, კუნთის აპონევროზი და ა.შ) განთავსებული ან ზედაპირული ლიმფური მარღვების არქიტექტონიკის (ზომები, განტოტებები და სარქვლის ადგილმდებარეობა) შესწავლის საშუალებას იძლევა (Stucker et al., 2008). ამასთანავე, როგორც წესი, ნაკლები ყურადღება ექცევა აღნიშნული მარკერების და საინიექციო მასების მოლეკულურ წონას და/ან ზომებს, ასევე, მათ ადჰეზიურ ურთიერთქმედებას შემაერთებელქსოვილოვან ბოჭკოებთან, რომელთა გასწვრივ მოძრაობითაც საინიექციო მასა გადადის ლიმფურ კაპილარებში (Debie & Hernot, 2019). ინიექციური რეპლიკების (კოროზიული მიკროპრეპარატების) მასკანერებელი ელექტრონული მიკროსკოპიის მეთოდი, რეპლიკაციისთვის გამოყენებული პოლიმერული მასალის ტოქსიურობიდან გამომდინარე, ხშირად თანხვედრილია ვაზოსპაზმთან (Motta et al.,

2012). მორფოლოგიური კვლევის მეთოდების ეს თავისებურებები შეიძლება განაპირობებდეს ინტერსტიციული სითხის სატრანსპორტო გზებისა და ლიმფური კაპილარების ფორმირების ზონების არქიტექტურისა და რეალური ზომების დამახინჯებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კოროზიული მიკროპრეპარატების მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპია ისეთი საინიექციო მასის გამოყენებით, რომელიც თავისუფალია ზემოთაღნიშნული ნაკლოვანებებისაგან (Tsomaia et al., 2020). მოსალოდნელია, რომ წარმატებული აღმოჩნდეს ღვიძლში ინტერსტიციული სითხის და ლიმფის ტრასების სრული სივრცული არქიტექტონიკის შესწავლისათვის - დაწყებული პერისინუსოიდური (დისეს) სივრცეებიდან, დამთავრებული სხვადასხვა მდებარეობის ღვიძლშიდა ლიმფური მილებით.

## გამოკვლევის მასალა და მეთოდები

### მასალა

გამოკვლევული იქნა ძუძუმწოვრების (ღორის, ცხვრის, ძაღლის, რომელთაც აქვთ ნაღვლის ბუშტი, და ვირთაგვის, რომელსაც არ აქვს ნაღვლის ბუშტი) და ფრინველების (შინაური ქათმის, რომელსაც აქვს ნაღვლის ბუშტი) ღვიძლების პორტული და კავალური სისხლძარღვების მფარავი შემაერთებელქსოვილოვანი გარსების ურთიერთობა, როგორც ერთმანეთთან, ასევე ღვიძლის კაფსულასთან და წილაკშიდა შემაერთებელქსოვილოვან ბადესთან.

გამოკვლევა ჩატარებულია ვირთაგვის 23, ძაღლის 6, ღორის 6, ცხვრის 6 და ქათმის 5 ღვიძლზე.

ცხოველთა და ფრინველთა ღვიძლების გამოკვლევა ხდებოდა ანატომიური პრეპარაციის, კოროზიული პრეპარატების, ჰისტოლოგიური (მათ შორის კონტრასტული მასებით სისხლის მილების ინიექციის შემდეგ გამჭვირვალე პრეპარატების მიკროსკოპია), ჰისტოქიმიური, იმუნოჰისტოქიმიური, ფლურესცენტული მიკროსკოპიის და კოროზიულ მიკროპრეპარატთა მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპიის მეთოდებით.

*შენიშვნა: ცხოველთა და ფრინველთა ღვიძლების კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები დარდებოდა პროფესორ ილია ჭანუყვამის პერსონალურ არქივში დაცულ ადამიანის ღვიძლის ჰისტოტოპოგრამებს და ღვიძლის ქსოვილის მაცერაციის შედეგად (გამდინარე წყალში) ვიზუალიზებული პორტული ტრაქტების და ღვიძლის ვენების ურთიერთობის ამსახველ ფოტოებს; ასევე, პროფესორ დიმიტრი კორძაიას პირად არქივში დაცულ უჯიშო (ეზოს) ძაღლების ღვიძლის სისხლძარღვებისა და ნაღვლის გზების კოროზიული პრეპარატების და პორტული ტრაქტების ჰისტოტოპოგრამებს.*

აღნიშნული საარქივო მასალები მოიცავდა:

ა. ორივე სქესის ზრდასრული ადამიანების (რომელთა სიკვდილის მიზეზი არ იყო დაკავშირებული ღვიძლის პათოლოგიასთან) გვამებიდან ამოღებული ღვიძლების

პორტული ტრაქტების შემცველ მაცერირებულ პრეპარატებს, ასევე, ამავე უბნების ჰისტოლოგიურ ანათლებს. ანათლების ნაწილი დამზადებულ იქნა კარის ვენის, ნაღვლის გზების და/ან ღვიძლის არტერიის სხვადასხვა ფერის ტუმის და საკვები ჟელატინის მასის ნარევით (პროპორცია 1:3) წინასწარი ინიექციის შემდეგ.

ბ. ორივე სქესის ზრდასრული უჯიშო (ეზოს) ძაღლების ღვიძლის მილოვანი სტრუქტურების კოროზიულ პრეპარატებს, რომლებიც დამზადებული იყო „ნაირიტის“ წარმოების ლატექსის ინიექციით და გოდირდმჟავაში ქსოვილების დაშლით; ასევე პორტული ტრაქტების შემცველი ღვიძლის ფრაგმენტების ანათლებს, რომელთა ნაწილი დამზადებულ იქნა კარის ვენის, ნაღვლის გზების და/ან ღვიძლის არტერიის სხვადასხვა ფერის ტუმის და საკვები ჟელატინის მასის ნარევით (პროპორცია 1:3) წინასწარი ინიექციის შემდეგ. აღნიშნული ცხოველები წარმოადგენდნენ საკონტროლო ცხოველებს ნაღვლის შეგუბების კვლევის სერიაში.

როგორც ი. ჭანუყვადის, ისე დ. კორძაიას არქივი შექმნილი იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრაზე მათი მუშაობისას, 1976-1994 წლებში.

მასალის განაწილება გამოკვლეულ სახეობათა, ასაკის და კვლევის მეთოდების მიხედვით იხილე ცხრილში #1.

გამოკვლევისათვის ღორის, ცხვრის და ქათმის ორგანოკომპლექსების შეძენა ხდებოდა საკოლმეურნეო ბაზრებში. ორგანოკომპლექსები შეიცავდა ღვიძლს, ქვემო ღრუ ვენის მონაკვეთს (კაუდალურად - თირკმლის ვენების ჩართვის უბნიდან 3-4 სანტიმეტრით ქვემოთ, ხოლო კრანიალურად - დიაფრაგმის ფეხებამდე), ნაღვლის ბუშტს, ღვიძლ-თორმეტგოჯა იოგს და თორმეტგოჯა ნაწლავის კრანიალურ ნაწილს.

ორგანოკომპლექსების ევისცერაცია ხდებოდა ლიცენზირებულ სასაკლაოებზე ცხოველთა დაკვლიდან არაუგვიანეს 3 საათის განმავლობაში; ღვიძლის ქსოვილის ჰისტოლოგიური და კოროზიული პრეპარატების დამზადება იწყებოდა ცხოველთა დაკვლიდან არაუგვიანეს 6 საათის განმავლობაში.

ცხრილი N1. მასალის განაწილება კვლევის მეთოდების მიხედვით

ადამიანის/ცხოველის/ფრინველის ღვიძლი	ანატომიური პრეპარირება	მაცერირება	ჰისტოლოგია/ ჰისტოტოპოგრაფია	ჰისტოქიმია	იმუნოჰისტოქიმია	ფლუორესცენტული მიკროსკოპია	კოროზიული პრეპარატების მეთოდი	კოროზიული პრეპარატების მასკანირებელი ელექტრონული	სულ
ადამიანი (ახალშობილი - 97 წ.)	18*	14*	16	-	-	-	12	-	46
ძალი (2-დან - 3 წლამდე)	-	-	3	-	-	-	3	-	6
ღორი (1 წლის)	3*	-	3*	3*	-	3*	3*	-	6
ცხვარი (1 წლის)	2	-	2*	2*	-	2*	2	-	6
ვირთაგვა (6 თვის)	2	-	6*	6*	2*	2*	2	4	14
ვირთაგვა (6 თვის) - ნაღვლის საერთო სადინარის 3- დღიანი ოკლუზიით	-	-	3*	3*	3*	3*	-	6	9
ქათამი (6 თვის)	2*	-	3*	3*	-	2*	1*	-	5
სულ	92 ღვიძლი								

**შენიშვნა:** კვლევის რამდენიმე მეთოდი გამოყენებული იყო ერთი და იმავე ადამიანის/ცხოველის/ფრინველის ღვიძლზე (ასეთი ღვიძლები მონიშნულია \*-ით).

## მეთოდები

### *ანატომიური პრეპარაციის და მაცერაციის მეთოდები*

ევისცერირებული ორგანოკომპლექსიდან ვახდენდით ღვიძლის გამოყოფას და ღვიძლში შემავალი და ღვიძლიდან გამომავალი სისხლის მიღების იდენტიფიკაციას და პრეპარაციას, ისე, რომ შესაძლებელი გახდეს მათი კათეტერიზაცია შემდგომი ინიექციის მიზნით.

ღორის ღვიძლების ნაწილზე ვახდენდით მათი ვისცერული ზედაპირიდან ფიბროზული კაფსულის აცლას და წყლის უწყვეტი ჭავლით ღვიძლის ქსოვილის მაცერაციას 5-6 დღე-ღამის განმავლობაში. აღნიშნულის შემდეგ, ღვიძლის ქსოვილისაგან ბლაგვი წესით ვათავისუფლებდით პერივასკულურ ფიბროზულ კაფსულს (რომელიც გარს ეკვრის პორტულ ტრაქტებს) და ღვიძლის ვენების შემაერთებელქსოვილოვან საფარველს. ამას ვახორციელებდით ყველა სეგმენტის პორტული ტრაქტის და 2 მმ და მეტი კალიბრის ღვიძლის ვენების (მათი შენაკადების) მიმართ.

### *კოროზიული პრეპარატების მეთოდი (მაკრო-მიკროსკოპული კვლევისათვის)*

ღორის და ცხვრის ღვიძლების ორგანოსშიდა სისხლძარღვთა კოროზიული პრეპარატების დასამზადებლად ვიყენებდით თხევად კაუჩუკს (Nairit-ის წარმოების ლატექსი, ერევანი, სომხეთი). კოროზიული პრეპარატების დასამზადებლად ზემოაღნიშნულ ორგანოკომპლექსებს ვრეცხავდით გამდინარე წყალში და კარის ვენაში, ღვიძლის არტერიაში და ქვემო ღრუ ვენაში (კაუდალურიდან კრანიალური მიმართულებით) შეგვყავდა კათეტერები, რომლებიც დასახელებულ მილოვან სტრუქტურებში ფიქსირდებოდა გარედან დადებული ლიგატურებით. ამასთანავე, ქვემო ღრუ ვენის დიაფრაგმისმხრივი სანათური იკვანძებოდა ისე, რომ ქვემო ღრუ ვენაში შეყვანილი მასა გადასულიყო ღვიძლის ვენებში, რეტროგრადულად. აღნიშნულ კათეტერების გარეთა ბოლოებს ვუერთებდით პროფესორ დ. კორძიას მიერ მოწოდებულ შპრიც-მანომეტრს (რაციონალიზირებული წინადადება, #137,



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, 1984 წ.), რომელიც საშუალებას გვაძლევდა გაგვეზომა წნევა ლატექსის ინიექციის დროს; კარის ვენის, ღვიძლის არტერიის, ღვიძლის ვენების კალაპოტებში ლატექსით ინიექცია ხდებოდა ვერცხლისწყლის სვეტის 150 მმ-ის წნევით. ინიექციის დასრულების შემდეგ კათეტერებს ამოვაცლიდით და სინქრონულად ვახდენდით შესაბამისი მილოვანი სტრუქტურების გადაკვანძვას. ინიექცირებულ პრეპარატებს ვათავსებდით გოგირდმჟავას კონცენტრირებულ ხსნარში 5-10 დღით (ღვიძლის ქსოვილის სრულ კოროზიამდე).

ვირთავის ღვიძლის სისხლის მიღების კოროზიული პრეპარატების დამზადებისათვის ვიყენებდით სამრეწველო პლასტმასის „Protacril M“ -ის ნაკრებს (ხარკოვი, უკრაინა). ამ ნაკრების თხევადი კომპონენტის ყოველ 1,0 მილილიტრს ვუმატებდით 40 მილიგრამ ბენზოილის ზეჟანგს (დ. კორძია და თანავტორები, რაციონალიზირებული წინადადება, #263, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, 1987 წ.). ინიექცია ხორციელდებოდა დიეთილ ეთერის ინჰალაციური ნარკოზის პირობებში. საინიექციო მასა შეგვეყვავდა ვირთავის კარის ვენაში და კაუდალურ ღრუ ვენაში ჩადგმული კათეტერების საშუალებით, ვერცხლისწყლის სვეტის 100 მმ-ის წნევით, ზემოთ აღნიშნული შპიც-მანომეტრის საშუალებით. პორტულ ვენაში შეყვანილი კოქტეილი შეღებილი იყო წითელი პიგმენტით, ხოლო ღვიძლის ვენაში შეყვანილი კოქტეილი - ლურჯი პიგმენტით (პიგმენტები ასევე წარმოადგენდნენ „Protacryl-M“ ნაკრებების სტანდარტულ კომპონენტებს). საინიექციო მასის მარჯვენა წინაგულში გადასვლის შემდეგ, რაც ადასტურებდა ინიექციის სისრულეს, კათეტერებს ამოვაცლიდით და კაუდალურ ღრუ ვენას, კარის ვენას და კრანიალურ ღრუ ვენას ვკვანძავდით. პროტაკრილის გამყარების შემდეგ ვახდენდით ღვიძლის ევისცერაციას და ქსოვილის კოროზიას 20%-იან KOH-ის ხსნარში, ტუტისა და გამოხდილი წყლის 3-ჯერ ურთიერთჩანაცვლებით (KOH -ში ქსოვილი ჩერდებოდა 2 საათის განმავლობაში, ხოლო გამოხდილ წყალში 30 წუთის განმავლობაში; ამასთანავე, გამოხდილი წყალი იცვლებოდა 3-ჯერ, ყოველ 10 წუთში).

მიღებულ კოროზიულ პრეპარატებს ვსწავლობდით მაკრო-მიკროსკოპულად: თვალით, ბინოკულარული მიკროსკოპით (2x-28x გადიდების პირობებში) და ციფრული მიკროსკოპული ხელსაწყოთი - ProScope დიგიტალური კამერით აღჭურვილი სინათლის სტერეო-მიკროსკოპით (10 x, 50 x, 100 x და 200 x გადიდების პირობებში). ვახდენდით გამოსახულების ფიქსირებას ციფრულ ფორმატში - შემდგომი გაზომვებისა და დაკვირვებისათვის.

### ***ნაღვლის საერთო სადინარის ოკლუზია (ექსპერიმენტული მოდელი)***

ექსპერიმენტი ტარდებოდა ვისტარის ჯიშის თეთრ მამრ ვირთაგვებზე, წონით 180-220 გ. ოპერაციამდე 7 დღის განმავლობაში ხდებოდა ცხოველთა ადაპტაცია ვივარიუმის პირობებთან (22 °C, სინათლე-სიბნელის 12-საათიანი მონაცვლეობა, 60% ტენიანობა, თავისუფალი წვდომა წყალსა და საკვებზე). ყველა ქირურგიული პროცედურა სრულდებოდა ნიღბით ეთერის ზოგადი ანსეთეზის ქვეშ.

ნაღვლის საერთო სადინარის ლიგირება ხდებოდა სტანდარტული წესით, ორი ლიგატურით, რაც ხორციელდებოდა პერიტონეუმის ღრუს გახსნის და ღვიძლსა და „12-გოჯა ნაწლავს“ (წვრილი ნაწლავის საწყის ფრაგმენტს) შორის გადაჭიმული პერიტონეუმის დუბლიკატურიდან მისი გამოყოფის შემდეგ. დისტალური ლიგატურა ნაწლავიდან 1 სმ-ით იყო დაშორებული; ლიგატურებს შორის მანძილი შეადგენდა 2 მმ-ს.

### ***კოროზიული მიკროპრეპარატების მომზადება მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპით გამოკვლევისათვის***

ვირთაგვის ღვიძლის სისხლის კალაპოტის კოროზიული მიკროპრეპარატების მომზადება მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპით გამოკვლევისათვის ხდებოდა ჩვენს მიერ შემუშავებული რეცეპტით მომზადებული გამყარებადი საინიექციო მასის (გსმ) გამოყენებით. სისხლძარღვების ინიექცია ვირთაგვებში ხორციელდებოდა დიეთილ ეთერის ინჰალაციური ნარკოზის ქვეშ, სისხლის კალაპოტის წინასწარი გამორეცხვის შემდეგ 0.1 მლ ჰეპარინის შემცველი 0,9%-იანი

ფიზიოლოგიური ხსნარით (გამორეცხვის სიჩქარე - 20 მლ/წთ). მანიპულაციები ტარდებოდა ქირურგიული სათვალის ან ქირურგიული მიკროსკოპის გამოყენებით. ვირთაგვაში გსმ-ის ინიექცია ხორციელდებოდა გულმკერდის აორტიდან (როგორც ეს აღწერილია Karaganov, et al. -ის მიერ (Karaganov et al., 1981), კარის ვენიდან და ქვემო ღრუ ვენიდან (როგორც ეს აღწერილია Tsomaia et al-ის მიერ (Tsomaia et al., 2020)). ყველა შემთხვევაში ინიექციებული მასის გამოდინება ხდებოდა ამ მიზნით მარჯვენა წინაგულში სპეციალურად შექმნილი დეფექტიდან.

ინიექციური რეპლიკების მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპის მეთოდის და ჩვენ მიერ შემუშავებული გსმ-ის გამოყენებით ასევე შევისწავლეთ ვირთაგვის ღვიძლის სისხლის მიკროცირკულაციურ კალაპოტში, ინტერსტიციულ სივრცეში, ლიმფურ და ნაღვლის კალაპოტებში შესაბამისი ლიქვორების ტრასები - ნორმულად და ნაღვლის საერთო სადინარის დახშობიდან 3 დღის შემდეგ.

გსმ-ის პოლიმერიზაცია ხდებოდა 2 საათის განმავლობაში, ოთახის ტემპერატურაზე. ინიექციებული მასის პოლიმერიზაციის შემდეგ ამოიკვეთებოდა სამიზნე ორგანო და ქსოვილების დაშლა (კოროზია) ხორციელდებოდა 20%-იანი KOH-ის ხსნარით, ოთახის ტემპერატურაზე. ტუტეში განთავსებული ნიმუშები ყოველი 2 საათის შემდეგ გადაგვქონდა გამოხდილ წყალში, რომელსაც სამჯერ ვცვლიდით ყოველ 10 წუთში (ტუტე-წყლის პროცედურის განმეორება სამჯერ სრულიად საკმარისი იყო სრულფასოვანი კოროზიისათვის).

კოროზიის დასრულების შემდეგ ნიმუშები 10 წუთით თავსდებოდა Triton X-100-ის ხსნარში და შემდეგ ირეცხებოდა გამდინარე წყლის მსუბუქ ნაკადში - 10 წუთის განმავლობაში.

ტვიფრებს ვანაწევრებდით მიკროსკოპიული გამოკვლევისათვის. მიღებულ ფრაგმენტებს ვაშრობდით ჰაერზე, რის შემდეგაც ვამაგრდებდით ელექტროგამტარი წებოთი შესაბამის მაგიდეზე.

კოროზიულ ტვიფრებს ვიკვლევდით ProScope დიგიტალური კამერით აღჭურვილი სინათლის სტერეო-მიკროსკოპით და მასკანირებელი ელექტრონული

მიკროსკოპით JEOL-JSM-6510LV. ეს უკანასკნელი იძლეოდა ნიმუშის ვიზუალიზაციას როგორც პირდაპირი, ისე არეკვლილი ელექტრონული ნაკადებით, როგორც მაღალი, ისე დაბალი ვაკუუმის პირობებში. მიკროსკოპი აღჭურვილი იყო რენტგენოსპექტრული ანალიზის ზონდით. მაღალი ვაკუუმის პირობებში კვლევისათვის კოროზიული ტვიფრები იფარებოდა ოქროს ატომების ფენით, JEC-3000FC (Tokyo BOEKI Group, Japan) აპარატის გამოყენებით (ვაკუუმი = 3.2 პა, დაფარვის დრო = 180 წმ).

კოროზიული მიკროპრეპარატების მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპით გამოკვლევას ვახორციელებდით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრონული მიკროსკოპიის ცენტრში (ხემდღვანელი - პროფესორი ნიკოლოზ ჯალაბაძე).

### ***ღვიძლის ქსოვილის მიკროსკოპული გამოკვლევა***

#### ***ჰისტოლოგია***

თითოეულ სეგმენტის სხვადასხვა უბნიდან აღებული ღვიძლის ქსოვილის 1,5x2,0x2,0 სმ<sup>3</sup> და 1,5x2,0x4,0 სმ<sup>3</sup> ზომის ნაჭრებს ვათავსებდით ნეიტრალური (pH – 7,2-7,4 ფოსფატური ბუფერის გამოყენებით დამზადებული) ფორმალინის 10%-იან ხსნარში, ვაყალიბებდით პარაფინში, ვჭრიდით 3-დან 5 მკმ-მდე სისქის ანათლებს, რომლებსც ვღებავდით ჰემატოქსილინითა და ეოზინით;

#### ***ჰისტოქიმია***

ღვიძლის ქსოვილის ზემოაღწერილი წესით დამზადებული ანათლების ნაწილი იღებებოდა მასონის ტრიქრომით (Sigma Aldrich Catalog Number: C970D37) მწარმოებლის მიერ მითითებული ინსტრუქციის შესაბამისად. ანათლების ნაწილი დამატებით იღებებოდა რეტიკულინით - რეტიკულური ბოჭკოების გამოსავლენად.

#### ***ჰისტოტოპოგრაფია***

ღვიძლის ქსოვილის ნაჭრების ზომიდან გამომდინარე, მიღებული ანათლები იძლეოდა არა მხოლოდ ჰისტოლოგიური შეფასების, არამედ, ჰისტოტოპოგრაფიული

ანალიზის სამუალებასაც, რასაც, ზოგჯერ, წარმოდგენილი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, პრინციპული მნიშვნელობა ენიჭებოდა (იხილეთ, ასევე „მორფომეტრია“).

#### იმუნოჰისტოქიმია

იმუნოჰისტოქიმიური კვლევისთვის გამოყენებული იქნა MyBiosource-ის ანტისხეული Keratin-8 (კატალოგის ნომერი #MBS8510691). განზავების დონე: 1:200 0,01M ფოსფატურ ბუფერში (PBS) pH7.4 (Sigma Aldrich). ფორმალინში დაფიქსირებული ქსოვილის ანტიგენის გამოთავისუფლება ხდებოდა ციტრატულ ბუფერში გაცხელების გზით. ანტისხეულის ინკუბაცია მიმდინარეობდა 2 საათის განმავლობაში 22°C-ზე. მეორად ანტისხეულად გამოყენებული იქნა ცხვრის კურდღლის საწინააღმდეგო HRP-სთან კონუგირებული ანტისხეული. ჰისტოლოგიურ პრეპარატები შემოწმდა Primo star ZEISS-ის სინათლის მიკროსკოპით (გერმანია), რომელიც აღჭურვილია ციფრული კამერით (ZEN 2.3 SP1). პრეპარატების ნაწილი მონიშნებოდა ციტოკერატინების დეროვანი უჯრედების (OV6) და გლუვკუნთოვანი აქტინის (SMA) მარკერებით.

შენიშვნა: იმუნოჰისტოქიმიური მეთოდიკა გამოყენებული იყო ვირთავის ღვიძლის შესწავლისას

#### კონტრასტირებული გამჭირვალე ჰისტოლოგიური პრეპარატების გამოკვლევა

ვირთავის ღვიძლის ჰისტოლოგიური პრეპარატების დამზადება ხდებოდა ორგანოს სისხლის მიღების ტუმ-ჟელატინის ნარევი (1:3) ინიექციის შემდეგ. ინიექცია ხორციელდებოდა ზემოთ აღწერილი ტექნიკის გამოყენებით, მანომეტრთან კომუტირებული შპრიცით. ინიექციის წნევა შეადგენდა 100-120 მმ. ვწ.სვ. საინიექციო ნარევი მომზადებული იყო Vellimana et al (Vellimana et al., 2011) და Aum et al (Aum et al., 2017) რეკომენდაციების თანახმად.

#### მორფომეტრია

მორფომეტრიული ანალიზისათვის ვახდენდით ყველა ზემოაღნიშნული ტიპის ჰისტოლოგიური პრეპარატების დასკანერებას MoticEasyScan Pro 6-FS სკანერით და

ციფრული გამოსახულების დამუშავებას, მათ შორის, სხვადასხვა სტრუქტურების გაზომვას (მორფომეტრიას) Motic Digital Scanner Assistant Software Motic VM 3.0.-ის საშუალებით. სამუშაო არე დიდებოდა 40-ჯერ, რაც შეესაბამება სინათლის მიკროსკოპის 1000x გადიდებას (რაც, როგორც წესი, მიიღწევა იმერსიული მეთოდით კვლევისას). ციფრული გამოსახულების მაღალი გარჩევადობით დანახვა შესაძლებელი იყო DS დამხმარე პროგრამის მეშვეობით, რომელიც გამოსახულების გაანალიზებას უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის საზომი და მორფომეტრიული პროგრამული ვერსიებით („ოფციებით“)

#### ფლუორესცენტული მიკროსკოპია

ფლუორესცენციული მიკროსკოპია ხორციელდებოდა იმუნოფლუორესცენციური მიკროსკოპით Nikon H550L (იაპონია). ციფრული სურათების გადაღებას ვახდენდით Infinity 2 კამერით, ხოლო მიღებული გამოსახულების დამუშავებას (გაზომვას და ანალიზს) - Infinity პროგრამული უზრუნველყოფის 6.5.6 ვერსიით. ღვიძლის ქსოვილის ფლუორესცენციული მიკროსკოპია ეფუძნებოდა მისი ბუნებრივი ფლუორესცენციის (თვითფლუორესცენციის) უნარს. გამოკვლევა ხდებოდა მწვანე ფილტრის დიაპაზონში, რომლის ფარგლებშიც ჰეპატოციტები და მათი ბირთვები, ქოლანგიოციტები და მათი ბირთვები, შემაერთებელქსოვილოვანი მატრიქსის შემადგენელი ბოჭკოები, სისხლის მილების კედლები (კუნთოვანი ბოჭკოებით და მათ გარეშე), ნერვული ღეროები და სისხლის ფორმიანი ელემენტები ავლენენ განსხვავებულ ფლუორესცენციას იმდენად, რომ საშუალებას იძლევიან გარჩეულნი იქნან ერთმანეთისაგან.

## კვლევის შედეგები


### ღვიძლის ექსტრაცელულური მატრიქსის თავისებურებანი ძუძუმწოვრებსა და ფრინველებში

ჩვენ შევისწავლეთ პორტული კომპლექსის და ღვიძლის ვენის მფარავი შემაერთებელი ქსოვილების კავშირები ერთმანეთთან, ღვიძლის კაფსულასთან და წილაკშიდა შემაერთებელქსოვილოვან სტრუქტურებთან, ნაღვლის ბუშტის მქონე (ლორი, ცხვარი) და არ მქონე (ვირთაგვა) ძუძუმწოვრებსა და ნაღვლის ბუშტის მქონე ფრინველებში (შინაური ქათამი).

ყველა გამოკვლეულ ღვიძლში, როგორც კარის ვენის, ისე ღვიძლის ვენების გარშემო, მათი უწვრილესი შენაკადების ჩათვლით, აღინიშნება სხვადასხვა სისქისა და კომპოზიციის შემაერთებელქსოვილოვანი გარსები, რომლებიც სხვადასხვა ფორმით არის დაკავშირებული ერთმანეთთან, ღვიძლის კაფსულასთან და წილაკშიდა შემაერთებელქსოვილოვან ბადესთან. ეს შემაერთებელქსოვილოვანი ბოჭკოების სისტემა ქმნის ღვიძლის ე.წ. ექსტრაცელულურ მატრიქსს - ღვიძლის შემაერთებელქსოვილოვან ჩონჩხს.

## ღორი

ღორის ღვიძლში პორტული კარი და ვენური კარი განლაგებულია ერთმენტის მახლობლად ღვიძლის დორზალური (უკანა) ზედაპირის სიახლოვეს. ღვიძლის ვენები კარის ვენების ზემოთ (კრანიალურად) არიან განლაგებულნი (სურ N1).




სურ N1. ღორის ღვიძლი. ნატივური პრეპარატი. ყვითელი ისარი მიუთითებს ქვემო ღრუ ვენას (სანათური გადახსნილია), რომელიც გადის კუდიანი წილის სისქეში, სადაც მასში ჩაერთვებიან ღვიძლის ვენები. წითელი ისარი მიუთითებს კარის ვენას, რომლის გახსნილ სანათურშიც ჩანს მისი ტოტების სანათურები. მცირე კვადრატში ნაჩვენებია იგივე



*პრეპარატები ღვიძლის და კარის ვენების ტოტების კანულაციის შემდეგ (მწვანე კანულები მოთავსებულია ღვიძლის ვენებში, წითელი - კარის ვენის ტოტებში)*

მსხვილი კალიბრის პორტული და კავალური სისხლის მილები კოროზიული პრეპარატების გამოკვლევა ადასტურებს, რომ ამ ორი სისტემის სისხლის ძარღვები ერთმანეთისადმი მეტ-ნაკლებად პარალელურად განთავსებულ სიბრტყეებზეა განლაგებული. ისინი ერთმანეთს ეჯვარედიან, მაგრამ აღნიშნული სიბრტყეების ფარგლებში. ამასთანავე, კარის და ღვიძლის ვენის წვრილი ტოტები შეიძლება ერთმანეთს ეჯვარედიანოდეს სხვადასხვა კუთხითაც (სურ N2).



*სურ N2. ღორის ღვიძლი. პორტული და ღვიძლის ვენების კოროზიული ტვიფრები. წითელი ისარი მიუთითებს კარის ვენის ტოტების ტვიფრებს; ყვითელი ისარი - ღვიძლის ვენის ტოტების ტვიფრებს. ლატექსი (Nairit). ნატურალური ზომა.*


ღორის ღვიძლში შემაერთებელქსოვილოვანი ბოჭკოების ბადისებრი სტრუქტურა ერთმანეთთან აკავშირებს პორტული ტრაქტების

შემაერთებელქსოვილოვან სტრუქტურებს და ერთმანეთისგან მიჯნავს სხვადასხვა ზომის (განაკვეთზე 0,5 მმ-დან - 22მმ-მდე დიამეტრით) და ფორმის (განაკვეთზე არაწესიერ, პოლიგონალურ) წილაკებს (სურ N 3).


ამასთანავე, ზემოაღნიშნული ბადის მონაკვეთები, რიგ შემთხვევაში უკავშირდება ღვიძლის ვენების შენაკადების მფარავ შემაერთებელქსოვილოვან გარსსაც. ამ თვისებურებების გამო არც თუ იშვიათად ღვიძლის ე.წ. კლასიკური წილაკის შემომსაზღვრელი შემაერთებელქსოვილოვანი კარკასი მოიცავს არა მხოლოდ პორტულ ტრაქტებს, არამედ ღვიძლის ვენების შენაკადებსაც. ამდენად, მსხვილი კალიბრის პორტული ტრაქტების და ღვიძლის ვენის შენაკადების შემაერთებელქსოვილოვანი საფარვლები ერთმანეთს უკავშირდება მრავალრიცხოვანი შემაერთებელქსოვილოვანი ტიხრებით, რომლებიც ერთმანეთისგან მიჯნავს ღვიძლის წილაკებს. ასეთ ვითარებაში ღვიძლის ვენების და პორტულ ტრაქტებს შორის შეიძლება განლაგებული იყოს წილაკების ერთი ან რამოდენიმე რიგი (სურ N4). ზოგჯერ ტიხრებით დაკავშირებულია ღვიძლის ვენის სხვადასხვა კალიბრის ტოტები, ისე, რომ მათ შორისაც განლაგებულია წილაკების ერთი ან რამოდენიმე რიგი (სურ N5).

ღვიძლის წილაკების გამმიჯნავი შემაერთებელქსოვილოვანი ტიხრები საკმაოდ სქელია (5-15მკმ სისქის). ზოგჯერ, მასში ჩართულია როგორც წვრილი პორტული კომპლექსები ისე ღვიძლის ვენის შენაკადები, რაც ღვიძლის რბილი ჩონჩხის კონსტრუქციას კიდევ უფრო კომპლექსურს ხდის (სურ N 6,7,8).


ამასთანავე, ზოგიერთ უბანში აღინიშნება მსხვილი პორტული ტრაქტის და ღვიძლის ვენის წვრილი შენაკადების შემაერთებელქსოვილოვანი საფარველების შერწყმა, რომელიც თავისი ფორმით წააგავს ადამიანის ღვიძლში აღწერილ „სრული შერწყმის“ უბანს. მაგრამ აღნიშნულ უბნებში პორტული ვენისა და ღვიძლის ვენის კალიბრების დისპროპორცია გვაფიქრებინებს, რომ ასეთი უბნები შეიძლება განვიხილოთ მარაოსებრი პკვკ-ის ანალოგიად, იმ განსხვავებით, რომ მარაოს ქმნის ღვიძლის ვენის შენაკადები და არა პორტული ვენის ტოტები (სურ N9).




სურ N3. ღორის ღვიძლის ქსოვილის ჰისტოტოპოგრაფია (მასონის ტრიქრომი).



სურ N4. ღორის ღვიძლის ქსოვილის ჰისტოტოპოგრაფია (მასონის ტრიქრომი). ყვითელი ისარი მიუთითებს პორტულ ტრაქტს, წითელი ისარი - ღვიძლის ვენის შენაკადს.



სურ N5. ღორის ღვიძლის ქსოვილის ჰისტოტოპოგრაფა (მასონის ტრიქრომი). ყვითელი ვარსკვლავებით მონიშნულია ღვიძლის ვენა და მისი შედარებით მცირე კალიბრის შენაკადი.



სურ N 6. ღორის ღვიძლის ქსოვილის ჰისტოტოპოგრაფა (მასონის ტრიქრომი). ყვითელი ისარი მიუთითებს ღვიძლის წილაკების გამმიჯნავი შემაერთებელქსოვილოვან ტიხრებს, რომლებშიც ჩართულია წვრილი პორტული კომპლექსები და/ან ღვიძლის ვენის შენაკადები


ღვიძლის კაფსულა (იგივე ლაენეკის კაფსულა), რომელიც შედგება პირველი ტიპის კოლაგენის წვრილი ბოჭკოებისა და ელასტიური ბოჭკოებისაგან, გრძელდება ზემოაღწერილ, ღვიძლის წილაკების ერთამენთისაგან გამმიჯნავ ტიხრებში, რომელთა ბოჭკოებიც ვრცელდება წილაკშიდა ექსტრაცელულურ მატრიქსში, რომლებიც დისეს სივრცეშია განლაგებული. ეს ადასტურებს ყველა დასახელებული ლოკალიზაციის შემაერთებელქსოვილოვანი ბოჭკოების მიერ ერთიანი, უწყვეტი ლაბირინთის წარმოქმნას (სურ N 10).




სურ N7. ღორის ღვიძლის ქსოვილის ჰისტოტოპოგრამა (მასონის ტრიქრომი). ყვითელი ისარი მიუთითებს ღვიძლის წილაკების გამმიჯნავი შემაერთებელქსოვილოვან ტიხრებს, რომლებშიც ჩართულია წვრილი პორტული კომპლექსები და/ან ღვიძლის ვენის შენაკადები

წილაკების მფარავ შემაერთებელქსოვილოვან თხელ (0,2-0,5 მკმ) ფირფიტას (ლაენეკის კაფსულას) და ღვიძლის მსხვილი პორტული კომპლექსების მფარავ გლისონის კაფსულას შორის აღნიშნება ერთგვარი ნაპრალი, რომელზეც ორივე მხრიდან „გადადიან“ ცალკეული ბოჭკოები, რომლებიც ამყარებენ კავშირს დასახელებულ ფირფიტებს (კაფსულებს) შორის. მსგავსი ნაპრალების აღმოჩენა შეიძლება ღვიძლის ვენის კედელსა და პარენქიმის მფარავ ლაენეკის კაფსულას


შორისაც (სურ N11,12,13,14). აღნიშნული ფირფიტები და ნაპრალები ანალოგიურია იმისა, რაც აღწერილი იქნა ადამიანის ღვიძლში (C Couinaud, 1954a, 1954b).



სურ N8. ღორის ღვიძლი. ფლუორესცენტული მიკროსკოპია. წილაკების გამმიჯნავ შემაერთებელქსოვილოვან ტიხრებში ჩართული სისხლის ძარღვები . (ოკ. X 15, ობ. X 20)



სურ N9 ღორის ღვიძლის ქსოვილის ჰისტოტოპოგრამა (მასონის ტრიქრომი). მსხვილი პორტული ტრაქტის და ღვიძლის ვენის წვრილი შენაკადის შემაერთებელ-ქსოვილოვანი საფარველების შერწყმა (მითითებულია ისრით). ყვითელი ვარსკვლავით აღნიშნულია პორტული ვენის სანათური, წითელი ვარსკვლავით - ღვიძლის ვენის შენაკადის სანათური.



სურ N 10 ღორის ღვიძლი. ფლუორესცენტული მიკროსკოპია. წილაკებშორისი შემაერთებელ ქსოვილოვანი ბოჭკოები გრძლედება წილაკებშიდა შემაერთებელ-ქსოვილოვან ბოჭკოებში. (ოკ. X 15, ობ. X 20)


ამასთანავე, ჩვენს მიერ ვერ იქნა ნანახი Ikeda-ის მიერ ადამიანის ღვიძლში დასახელებულ ფირფიტებს შორის აღწერილი „ღვიძლის საკუთარი იოგი“, რომელიც იდენტიფიცირებული იქნა ღვიძლის ჰისტოტოპოგრამების კომპიუტერული პროგრამებით დამუშავების შედეგად (Ikeda et al., 2021).

ვფიქრობთ, რომ „ღვიძლის საკუთარი იოგის“ დამოუკიდებელ ელემენტად წარმოდგენა ორგანოს ჰისტოტოპოგრამების კომპიუტერული პროგრამებით დამუშავების შედეგად რამდენადმე ხელოვნურია. აღწერილი ნაპრალები, ისევე როგორც გლისონის კაფსულის შიგნით არსებული შემაერთებელქსოვილოვანი ნაპრალები, სხვა კვლევების შედეგების გათვალისწინებით, წარმოადგენს პრელიმფის საცირკულაციო აუზის შემადგენელ კომპონენტებს (Ohtani et al, 2003, 2008).

თუ გავითვალისწინებთ მასონის ტრიქრომის ნაკრების მიერ I და III ტიპის კოლაგენის ბოჭკოების სხვადასხვა ფერში შეღებვას (მესამე ტიპის კოლაგენის - ლურჯ ფერში, ხოლო პირველი ტიპის კოლაგენის და ელასტიკური ბოჭკოების - მოყავისფრო


(ხორცისფერ) და მეწამულ (ბროწეულისფერ) ფერში), აგრეთვე იმას, რომ პირველი და მესამე ტიპის კოლაგენის და ელასტიკური ბოჭკოები ფლუორესცენტულ მიკროსკოპში განსხვავებული ნათებით ხასიათდებიან, შეიძლება დავასკვნათ, რომ ღვიძლის კაფსულის, წილაკთაშორისი ტიხრების და ღვიძლის ვენების შენაკადების მფარავი შემაერთებელქსოვილოვანი სტრუქტურები ძირითადად წარმოდგენილია I ტიპის კოლაგენური და ელასტიკური ბოჭკოების ურთიერთგადაწვნივით.

ამასთანავე, ღვიძლის ვენების შენაკადების მფარავი შემაერთებელქსოვილოვანი ბოჭკოები შეიცავენ ვენების გასწვრივი მიმართულების გლუვკუნთოვან ბოჭკოებს, რომელთა ცალკეული კონებიც გამოყოფილია ერთამენთისაგან თხელი შემაერთებელქსოვილოვანი ჩანართებით (სურ N14,15).




სურ N 11. ღორის ღვიძლის ჰისტოტოპოგრამა (მასონის ტრიქრომი). წითელი ვარსკვლავით აღნიშნულია პორტული ტრაქტის შემაერთებელი ქსოვილი, მწვანე ვარსკვლავით - კარის ვენა, ყვითელი ვარსკვლავით - ღვიძლის არტერია; ყვითელი ისარი მიუთითებს ნაპრალს ლაენეკის და გლისონის კაფსულებს შორის.






სურ N 12. ღორის ღვიძლის ჰისტოტოპოგრაფია (მასონის ტრიქრომი). წითელი ვარსკვლავით აღნიშნულია პორტული ტრაქტის შემადგენელი ქსოვილი. ყვითელი ისარი მიუთითებს ნაპრალს ლაენეკის და გლისონის კაფსულებს შორის.



სურ N 13 ღორის ღვიძლი. ფლუორესცენტული მიკროსკოპია. ყვითელი ისარი მიუთითებს ნაპრალს ლაენეკის და გლისონის კაფსულებს შორის. წითელი ვარსკვლავით აღნიშნულია ნადვლის სადინარი. (ოკ. X 15, ობ. X 20).




სურ N 14. ღორის ღვიძლი (მასონის ტრიქრომი). ყვითელი ვარსკვლავით აღნიშნულია ღვიძლის ვენის კედელი, რომელშიც ჩართულია გლუვკუნთოვანი ბოჭკოების კონეები. ყვითელი ისარი მიუთითებს ნაპრალს ლაენეკის კაფსულას და ღვიძლის ვენის შემაერთებელქსოვილოვან საფარველს შორის.

პორტულ ვენის ადვენტიციაშიც აღინიშნება ერთეული გლუვკუნთოვანი ბოჭკოები. ამასთანავე, კარის ვენას აქვს საკუთარი შემაერთებელქსოვილოვანი გარსი, რომელიც შემოკრულია მის ადვენტიციაზე. ადვენტიციასა და პორტული ვენის გარსს შორის ხშირად შეიძლება ვიწრო ნაპრალის აღმოჩენა. ასეთივე თავისებურებით ხასიათდება პორტული ტრაქტების შემადგენლობაში არსებული არტერიების, ნაღვლის სადინარების და ნერვული ღეროების (ვაგუსის ტოტები) მფარავი შემაერთებელქსოვილოვანი გარსებიც (ფოტო N 16,17).

ეს მონაცემები სავსებით ეთანხმება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში მოპოვებულ მონაცემებს მილოვანი სტრუქტურების ირგვლივ მრავლობითი „ფუტლიარების“ არსებობის თაობაზე. აღნიშნული ნაპრალები ქსოვილოვანი სითხის და პრე-ლიმფის ცირკულაციის არეებს წარმოადგენს და ადასტურებს ღვიძლის ექსტრაცელულური მატრიქსის, როგორც ქსოვილოვანი სითხის და პრელიმფის

ცირკულაციის ერთიანი აუზის, არქიტექტონიკას (Tsomaia et al., 2020; Патарაშვილი et al., 2020).




სურ. N15. ღორის ღვიძლი (მასონის ტრიქრომი). წითელი ვარსკვლავით აღნიშნულია ღვიძლის ვენის შენაკადის სანათური. ყვითელი ისრები მიუთითებს ვენის კედელში გლუვკუნთოვანი ბოჭკოების კონებს. ყვითელი ისარი მიუთითებს ნაპრალს ლაენეკის კაფსულას და ღვიძლის ვენის შემაერთებელქსოვილოვან საფარველს შორის.

კარის ვენისა და ნაღვლის სადინარის კედლები შეიცავს ელასტიკურ ბოჭკოებს. ელასტიური ბოჭკოები კომპლექსურადაა წარმოდგენილი პერინევრიუმში და არტერიის შემაერთებელქსოვილოვან საფარველში, ასევე არტერიის სუბენდოთელურ შრეში. პორტული ტრაქტის შემაერთებელქსოვილოვანი ჩონჩხის მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოდგენილია მესამე ტიპის კოლაგენის მსხვილი, კარგად სტრუქტურირებული ბოჭკოებით.

ღორის ღვიძლში ვერ ხერხდება ადამიანის პორტულ ტრაქტში აღწერილი შემაერთებელქსოვილოვანი ზოგიერთი კონსტრუქციების იდენტიფიკაცია. კერძოდ, ადამიანის პორტულ ტრაქტში აღწერილია კარის ვენის გარშემო ცირკულარულად განლაგებული 2 შემაერთებელქსოვილოვანი ჩანაფენი, რომელთაგანაც ერთში, კარის ვენასთან პროქსიმალურად მდებარეში, ჩართულია ღვიძლის არტერიების ტოტები,

ხოლო მეორეში, დისტალურში - ნაღვლის სადინარები და მათი ექსტრამურული ლორწოვანი ჯირკვლები.




სურ N 16. ღორის ღვიძლის ჰისტოტოპოგრამა (მასონის ტრიქრომი). წითელი ვარსკვლავით აღნიშნულია ღვიძლის არტერია, მწვანე ვარსკვლავით - კარის ვენა, ყვითელი ვარსკვლავით - ნაღვლის სადინარი. ყვითელი ისარი მიუთითებს ნაპრალს სისხლძარღვების საფარველსა და გარემომცველ პორტული ტრაქტის შემაერთებელქსოვილოვან ბოჭკოებს შორის. წითელი ისარი მიუთითებს ნერვულ ღეროს, ხოლო შავი ისარი - ნაღვლის სადინარის ინტრამურულ ლორწოვან ჯირკვლებს.


აღსანიშნავია, რომ ღორის ღვიძლში ექსტრამურული პერიბილიარული ჯირკვლები იშვიათად გვხვდება, მაშინ როდესაც ინტრამურული ჯირკვლები საკმაოდ ხშირია. ისინი განლაგებულია ნაღვლის სადინარების ყველა კედელზე, მეტნაკლებად თანაბრად (სურ N18,19), მაშინ, როდესაც ადამიანში ეს ჯირკვლები, როგორც წესი, განლაგებულია სადინარების გვერდითი კედლების გასწვრივ (Ishida et al., 1989; D Kordzaia et al., 2014; Nakamuna et al., 1994).

პორტა-კავალური შემაერთებელქსოვილოვანი კავშირები მსხვილი პორტული ტრაქტის და ღვიძლის ვენების შემაერთებელქსოვილოვანი სივრცეების სრული შერწყმით, ჩვენს მიერ ღორის ღვიძლში ვერ იქნა აღმოჩენილი. ამასთანავე, გარკვეული დაშვებით, მაფისებრი, ფირფიტისებრი ან მარაოსებრი პორტა-კავალური


შემაერთებელქსოვილოვანი კავშირის ანალოგიურად შეიძლება მივიჩნიოთ ღორის ღვიძლში შემაერთებელქსოვილოვანი ტიხრებით პორტული ტრქატებისა და ღვიძლის ვენების მფარავი შემაერთებელქსოვილოვანი საფარველების დაკავშირება (სურN 20,21,22,23).




სურ N 17. ღორის ღვიძლი. ფლუორესცენტული მიკროსკოპია. თეთრი ვარსკვლავით აღნიშნულია ღვიძლის არტერია. თეთრი ჯვრის ფორმის ვარსკვლავით აღნიშნულია ნერვული ღერო. ყვითელი ისარი მიუთითებს ნაპრალს არტერიის საფარველსა და გარემომცველ პორტული ტრქატის შემაერთებელქსოვილოვან ბოჭკოებს შორის. წითელი ისარი მიუთითებს ნაპრალს ნერვული ღეროს საფარველსა და გარემომცველ პორტული ტრქატის შემაერთებელქსოვილოვან ბოჭკოებს შორის. (ოკ. X 15, ობ. X 20).




სურ.N18. ღორის ღვიძლის ჰისტოტოპოგრაფა (მასონის ტრიქრომი). ყვითელი ისარი მიუთითებს ნაღვლის სადინარის ინტრამურულ ლორწოვან ჯირკვლებს.




სურ.N19. ღორის ღვიძლის ჰისტოტოპოგრაფა (მასონის ტრიქრომი). წითელი ვარსკვლავით აღნიშნულია ნაღვლის სადინარის სანათური. ყვითელი ისარი მიუთითებს ნაღვლის სადინარის ინტრამურულ ლორწოვან ჯირკვლებს.




სურ N20. ღორის ღვიძლის ქსოვილის ჰისტოტოპოგრამა (მასონის ტრიქრომი). მსხვილი პორტული ტრაქტის და ღვიძლის ვენის წვრილი შენაკადის შემაერთებელ-ქსოვილოვანი საფარველების შერწყმა (მითითებულია ისრით). ყვითელი ვარსკვლავით აღნიშნულია პორტული ვენის სანათური, წითელი ვარსკვლავით - ღვიძლის ვენის შენაკადის სანათური. სურ. 21-ზე მონიშნული უბნის გათვალისწინებით, შეიძლება ჩაითვალოს მარაოსებრი კავშირის ანალოგიად.



სურ N21. ღორის ღვიძლი. პორტული და ღვიძლის ვენების კოროზიული ტვიფრები. წითელი ისარი მიუთითებს კარის ვენის ტოტების ტვიფრებს; ყვითელი ისარი - ღვიძლის ვენის ტოტების ტვიფრებს. ლურჯი ელიფსის წირით შემოხაზულია შემაერთებელ-ქსოვილოვანი სტრუქტურების შერწყმის მარაოსებრი ფორმის სავარაუდო უბანი. ლატექსი (Nairit). ნატურალური ზომა.



სურ N22. ღორის ღვიძლის ქსოვილის ჰისტოტოპოგრამა (მასონის ტრიქრომი). მსხვილი პორტული ტრაქტის (მითითებულია ყვითელი ისრით) და ღვიძლის ვენის (მითითებულია წითელი ისრით) შემაერთებელქსოვილოვანი საფარველების დაკავშირება წილაკთაშორისი შემაერთებელქსოვილოვანი ტიხრებით.




სურ N23. ღორის ღვიძლის ქსოვილის ჰისტოტოპოგრამა (მასონის ტრიქრომი). მსხვილი პორტული ტრაქტის (მონიშნულია წითელი ვარსკვლავით) და ღვიძლის ვენის (მონიშნულია ყვითელი ვარსკვლავით) შემაერთებელქსოვილოვანი საფარველების დაკავშირება ძვიდისებრი (ან ფირფიტისებრი) კავშირით (მითითებულია ყვითელი ისრით. ჩარჩოში მოთავსებულ სურათის ფრაგმენტში აღნიშნული კავშირი შემოსაზღვრულია წითელი ხაზით.



## ცხვარი

ცხვრის ღვიძლში პორტული კარი და ვენური კარი ერთამენთისგან რამდენადმე დაცილებულია (პორტული კარი უფრო ვენტრალურად მდებარეობს). ამ თვალსაზრისით, ცხვრის ღვიძლი, ძროხის ღვიძლის მსგავსად, ადამიანის ღვიძლთან მეტ მსგავსებას ამჟღავნებს, ვიდრე ღორის ღვიძლი (Shirai et al., 2005). პორტული და ღვიძლის ვენები, შესაბამისად, ერთმანეთის მიმართ სხვადასხვა კუთხით მდებარე სიბრტყეებზეა განთავსებული და ერთმანეთს სივრცულად ეჯვარედინებიან.

ცხვრის ღვიძლის შემაერთებელქსოვილოვანი სტრუქტურების კონსტრუქცია და განლაგება განსხვავდება ღორის ღვიძლის ასეთივე კონსტრუქციისაგან. ცხვრის ღვიძლის კაფსულა (Laenec-ის კაფსულა) დიდი რაოდენობით შეიცავს III ტიპის კოლაგენს და უმნიშვნელო რაოდენობით შეიცავს I ტიპის კოლაგენს და ელასტიკულ ბოჭკოებს (სურ 24).




სურ N 24. ცხვრის ღვიძლის ქსოვილის ჰისტოტოპოგრამა (მასონის ტრიქრომი) ყვითელი ისარი მიუთითებს ღვიძლის კაფსულას. წითელი ისარი მიუთითებს ღვიძლის პარენქიმის ე.წ. „დაკარგულ“ უბანს, რომელიც მოთავსებულია ღვიძლის კაფსულის ორ ფურცელს შორის.

ნაღვლის სადინარებს, ქათმის ღვიძლის სადინარების მსგავსად (იხილეთ ქვემოთ), ვარსკვლავისებრი ფორმა აქვს და დაფარულია I ტიპის კოლაგენისა და

ცალკეული ელასტიკური ბოჭკოების შემცველი გარსით. ამასთანავე, იმავე ქათმის ღვიძლისაგან განსხვავებით, უშუალოდ არ ეხება ღვიძლის მიმდებარე პარენქიმას, არამედ გამიჯნულია მისგან III ტიპის კოლაგენური ბოჭკოების შრით. სწორედ ეს უკანასკნელი ესაზღვრება ღვიძლის პარენქიმის მფარავ ლაენეკის კაფსულის დერივატს (სურ 25).


ცხვრის ღვიძლში, ისევე, როგორც ღორის ღვიძლში, წილაკების მფარავ შემაერთებელქსოვილოვან თხელ ფირფიტასა და ღვიძლის მსხვილი პორტული კომპლექსების მფარავ გლისონის კაფსულას შორის, აღნიშნება ერთგვარი ნაპრლი, რომელზეც ორივე მხრიდან „გადადიან“ ცალკეული ბოჭკოები, რომლებიც ამყარებენ კავშირს დასახელებულ ფირფიტებს (კაფსულებს) შორის (სურ 26).




სურ N25. ცხვრის ღვიძლის ქსოვილის ჰისტოტოპოგრამა (მასონის ტრიქრომი). მწვანე ვარსკვლავით აღნიშნულია კარის ვენა, წითელი ვარსკვლავით - ღვიძლის არტერია, ყვითელი ვარსკვლავით - ნაღვლის სადინარი.

პორტა-კავალური შემაერთებელქსოვილოვანი კავშირების აღმოჩენა ხერხდება მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში. უმეტესწილად, ამ კავშირებს აქვთ ფირფიტისებრი


ფორმა და შეიცავს ნაღვლის სადინარებს, რითაც ცხვრის ღვიძლი ემსგავსება ვირთაგვის ღვიძლს (იხილეთ ქვემოთ) (სურ N 27, 28).



სურ N 26 ცხვრის ღვიძლი (მასონის ტრიქრომი). მწვანე ვარსკვლავით აღნიშნულია კარის ვენა, ყვითელი ვარსკვლავით - ნაღვლის სადინარი. ყვითელი ისრები მიუთითებს ნაპრაღის ლაენეკის და გლისონის კაფსულებს შორის.



სურ N 27. ცხვრის ღვიძლი (მასონის ტრიქრომი). ლურჯი ვარსკვლავით აღნიშნულია ღვიძლის ვენა, მწვანე ვარსკვლავით - კარის ვენა, ყვითელი ვარსკვლავით - ნაღვლის სადინარი, რომელიც მდებარეობს პორტა-კავალური ფიბროზული კაფსულის სისქეში.




სურ N 28. ცხვრის ღვიძლი. სურ. N27-ის ფრაგმენტი. (მასონის ტრიქრომი). ლურჯი ვარსკვლავით აღნიშნულია ღვიძლის ვენა, მწვანე ვარსკვლავით - კარის ვენა, ყვითელი ვარსკვლავით - ნაღვლის სადინარი, რომელიც მდებარეობს პორტა-კავალური ფიბროზული კავშირის სისტემაში. ყვითელი სამკუთხა ისრები მიუთითებს ნაღვლის დუქტულებს პორტა-კავალური ფიბროზული კავშირის სისტემაში და ღვიძლის ვენის შემაერთებელქსოვილოვან საფარველში. წითელი ისრები მიუთითებს ნაპრალს ლაენეკის და გლისონის კაფსულებს შორის.

### ვირთაგვა

ვირთაგვის ღვიძლის პორტული კარი და ვენური კარი, ღორის ღვიძლის მსგავსად, განლაგებულია ერთმანეთის მახლობლად ღვიძლის დორზალური (უკანა) ზედაპირის სიახლოვეს.

ღვიძლის ვენები კარის ვენების ზემოთ (კრანიალურად) არიან განლაგებულნი. მსხვილი კალიბრის პორტული და კავალური სისხლის მილები ერთმანეთისადმი მეტ-ნაკლებად პარალელურად განთავსებულ სიბრტყეებზეა განლაგებული. ისინი ერთმანეთს ეჯვარედინებიან, მაგრამ აღნიშნული სიბრტყის ფარგლებში. ამასთანავე, პორტული და ღვიძლის ვენის წვრილი ტოტები შეიძლება ერთმანეთს ეჯვარედინებოდეს სხვადასხვა კუთხით (სურ N 29).




სურ N 29. ვირთაგვას ღვიძლი. კოროზიული პრეპარატი. პორტული ვენა (წითელი ფერის, მითითებულია ცისფერი ისრით); ქვემო ღრუ ვენა (ლურჯი ფერის, მითითებულია თეთრი ისრით); ზემო ღრუ ვენა (ლურჯი ფერის, მითითებულია ყვითელი ისრით).

ჩვენს მიერ, თითოეული გამოკვლეული ვირთაგვის ღვიძლში ყოველთვის იქნა აღმოჩენილი ერთ ან ორი უბანი მაინც, სადაც პორტული შემაერთებელი ქსოვილის


ბოჭკოები ერწყმის ღვიძლის ვენის მფარავ შემაერთებელ ქსოვილს. ასეთი უბნები, რომლებიც ადამიანის ღვიძლის პკფკ-ის ანალოგიურად შეიძლება განვიხილოთ პკფკ-ად, წარმოადგენს ადგილს, სადაც არამხოლოდ შემაერთებელქსოვილოვანი ბოჭკოების გადაწვნა ხორციელდება, არამედ შეიძლება მოხდეს პორტული კომპლექსების ზოგიერთი სტრუქტურის დისლოკაცია ღვიძლის ვენების შემაერთებელქსოვილოვანი საფარველის სისქეში.

ასე, მაგალითად, კარის ვენისა და ღვიძლის ვენების ტოტებს შორის მჭიდრო კონტაქტის ზონებში აღწერილია ღვიძლის არტერიის ტოტების გადასვლა ღვიძლის ვენების კედლებზე (Староверов В.Н, 1974). ჩვენს მიერ აღმოჩენილია პორტული ტრაქტის ნაღვლის სადინარების დისნსლოკაციები ღვიძლის ვენების მიმართულებით (სურ N30), რაც ადასტურებს დ. კორძაიას და თანაავტორების მიერ ადრე აღწერილ ფენომენს (D Kordzaia & Jangavadze, 2014; Dimitri Kordzaia et al., 2014).




სურ N 30 ვირთაგვას ღვიძლი. იმუნოჰისტოქიმია (AE1- AE3). ლურჯი ვარსკვლავით აღნიშნულია ღვიძლის ვენა, მწვანე ვარსკვლავით - კარის ვენა; თეთრი ისრები მიუთითებს პორტული ტრაქტის ფირფიტისებრ მორჩს, რომელიც შეიცავს ნაღვლის სადინარს; წითელი ისრები მიუთითებს პორტა-კავალური ფიბროზული კავშირის უბნებს, რომლებიც შეიცავს ნაღვლის დუქტულებს.


ვირთაგვის ღვიძლში გამოვლენილ იქნა პორტა-კავალური ფიბროზული კავშირის სხვადასხვა ფორმა - პორტული ტრაქტების და ღვიძლის ვენების შენაკადების მფარავი შემაერთებელქსოვილოვანი საფარველის/ბოჭკოების სხვადასხვა ინტენსივობის კომუნიკაციით - სრული შერწყმიდან დაწყებული, „ფირფიტისებრი“, „მარაოსებრი“ და „მაფისებრი“ ფორმებით დასრულებული. სრული შერწყმის ზონებში, პორტული კომპლექსის ნაღვლ-სისხმარღვოვან ტრიადას მეოთხე ელემენტის სახით უკავშირდება ღვიძლის ვენის ტოტიც. ეს ბილიოვასკულური ოთხეული ერთმანეთთან ფაშარი შემაერთებელი ქსოვილითაა დაკავშირებული და ერთიან საერთო კაფსულაშია გახვეული. ქვემოთ წარმოდგენილია პეფკ სხვადასხვა ფორმა და ამ კავშირის საშუალებით პორტული ტრაქტის სტრუქტურული ელემენტების (როგორც წესი, ნაღვლის სადინარების) დისლოკაცია ღვიძლის ვენების (ან მათი შენაკადების) შემაერთებელქსოვილოვან საფარველში (სურ N31 - 36).



სურ N31. ვირთაგვას ღვიძლი (მასონის ტრიქრომი). თეთრი ისრები მიუთითებს პორტულ ტრაქტებს; ლურჯი ისარი მიუთითებს ღვიძლის ვენის შემაერთებელქსოვილოვან საფარველს; წითელი ისრები მიუთითებს ნაპრალს ლაენეკის კაფსულას და ღვიძლის ვენის შემაერთებელქსოვილოვან საფარველს შორის. წითელი ფერის ელიფსის წირით შემოხაზულია „სრული შერწყმის“ ფორმის პეფკ.




სურ. N 32. სურ. N31-ზე გამოსახული უბნის სხვა ფრაგმენტი (მასონის ტრიქრომი). თეთრი ისრები მიუთითებს პორტულ ტრაქტებს; ლურჯი ისარი მიუთითებს ღვიძლის ვენის შემაერთებელქსოვილოვან საფარველს; წითელი ისრები მიუთითებს ნაპრალს ლაენეკის კაფსულას და ღვიძლის ვენის შემაერთებელქსოვილოვან საფარველს შორის.




სურ. N 33. ვირთავას ღვიძლი (ჰემატოქსილინი და ეოზინი). HV - აღნიშნავს ღვიძლის ვენის სანათურს. ყვითელი ისრები მიუთითებს ნაღვლის დუქტულებს ღვიძლის ვენის შემაერთებელქსოვილოვან საფარველში, რომლებიც აქ აღმოჩნდა პკფკ-ის ფარგლებში ბილიური სტრუქტურების პორტული ველიდან ღვიძლის ვენისკენ დისლოკაციის შედეგად.






სურ. N34. ვირთაგვას ღვიძლი. მარცხნივ - ღვიძლის ქსოვილის ფლუორესცენტული მიკროსკოპია (თვითფლუორესცენცია), მარჯვნივ - იმავე უბნის სქემატური გამოსახულება. HV - ღვიძლის ვენა; PV - პორტული ვენა; BD - ნაღვლის დუქტულა; H - ჰეპატოციტები. ყვითელი ისარი მიუთითებს ლაენეკის კავსულას, წითელი ისარი მიუთითებს გლისონის კავსულას. (ოკ. X 15, ობ. X 20).



სურ. N35 ვირთაგვას ღვიძლი. მარცხნივ- ღვიძლის ქსოვილის ჰისტოტოპოგრამა (მასონის ტრიქრომი), მარჯვნივ - იმავე უბნის ფლუორესცენტული მიკროსკოპია (თვითფლუორესცენცია). HV - ღვიძლის ვენა; PV - პორტული ვენა; H - ჰეპატოციტები. ყვითელი ისარი მიუთითებს ლაენეკის კავსულას, წითელი ისარი მიუთითებს გლისონის კავსულას, თეთრი ისარი მიუთითებს ღვიძლის ვენის შემაერთებელქსოვილოვან საფარველს. (ოკ. X 15, ობ. X 20).




სურ. N36 ვირთაგვას ღვიძლი. მარცხნივ - ღვიძლის ქსოვილის ფლუორესცენტული მიკროსკოპია (თვითფლუორესცენცია); მარჯვნივ - იმავე უბნის სქემატური გამოსახულება. HV - ღვიძლის ვენა; PV - პორტული ვენა; H - ჰეპატოციტები. წითელი ისარი მიუთითებს გლისონის კაფსულის და ღვიძლის ვენის შემაერთებელქსოვილოვანი საფარველის შერწყმას. (ოკ. X 15, ობ. X 20).

ვირთაგვის ღვიძლში სხვადასხვა კალიბრის პორტული ტრაქტების და ღვიძლის ვენების შენაკადების თანმხლები შემაერთებელქსოვილოვანი ბოჭკოების განლაგების თავისებურებანი მნიშვნელოვანწილად იმეორებს ქათმის ღვიძლში აღწერილ თავისებურებებს ამასთანავე, ვირთაგვის ღვიძლში უფრო მცირე რაოდენობით გვხვდება ელასტიკური ბოჭკოები, ასევე ნაკლებად არის გამოხატული არტერიების კუნთოვანი შრე (ქათმის ღვიძლის აღწერილობა იხილეთ ქვემოთ).


აღსანიშნავია ისიც, რომ ვირთაგვის ღვიძლის კარში და მსხვილი კალიბრის სისხლძარღვთა არეში განირჩევა საზღვარი გლისონის კაფსულასა და ლაენეკის კაფსულას შორის. ეს უკანასკნელი, ისევე, როგორც ღვიძლში, ფარავს არა მხოლოდ ღვიძლის ზედაპირს, არამედ სიღრმეში განთავსებულ პარენქიმასაც და მიჯნავს მათ მიმდებარე პორტული ტრაქტებისაგან და ღვიძლის ვენების შენაკადებისაგან (სურ N 37).

ამასთანავე, ჩვენს მიერაც დადასტურდა სხვა მკვლევარების მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ აღნიშნული ნაპრალი, ერთი მხრივ, წვრილ პორტული


ტრაქტებსა და ღვიძლის ვენებს, ხოლო მეორე მხრივ, ღვიძლის პარენქიმის მფარავ შემაერთებელქსოვილოვან ჩანაფენს შორის, აღარ იდენტიფიცირდება და ადგილი აქვს ყველა დასახელებული შემაერთებელქსოვილოვანი სტრუქტურის ბოჭკოების ურთიერთჩაწვნას, რითაც იქმნება ღვიძლის შემაერთებელქსოვილოვანი ჩონჩხის ყველა კომპონენტის ურთიერთშერწყმის უბნები (სურ N 38,39).



სურ.N 37. ვირთაგვას ღვიძლი (მასონის ტრიქრომი). მაგისტრალური პორტული ტრაქტის ფრაგმენტი. PT - პორტული ტრაქტი; BD - ნაღვლის სადინარი; H - ჰეპატოციტები. წითელი ისარი მიუთითებს ნაპრაღს გლისონის და ლაენეკის კაფსულებს შორის.




სურ. N38. ვირთაგვას ღვიძლი. ფლუორესცენტული მიკროსკოპია (თვითფლუორესცენცია); არ აღინიშნება ნაპრალი სუბლობულური ღვიძლის ვენის შემაერთებელქსოვილოვან საფარველს და ლაენეკის კაფსულას შორის. (ოკ. X 15, ობ. X 20).



სურ. N39. ვირთაგვას ღვიძლი. ფლუორესცენტული მიკროსკოპია (თვითფლუორესცენცია); არ აღინიშნება ნაპრალი წვრილი კალიბრის პორტული ტრაქტების მფარავ შემაერთებელქსოვილოვან საფარველს და ლაენეკის კაფსულას შორის. (ოკ. X 15, ობ. X 20).

ამავე დროს, შენარჩუნებულია ნაპრალები ცალკეულ სისხლის მილების ადვენტიციასა და მფარავ გარსებს შორის, ერთი მხრივ, და ამ გარსებსა და მთლიანად პორტული ტრაქტის მფარავ გლისონის სისხლძარღვოვან-ბილიურ შალითას - პერივასკულურ კაფსულას - შორის. ამის თქმის უფლებას, მიუხედავად იმისა, რომ სინათლის და ფლუორესცენციულ მიკროსკოპებში ჰისტოლოგიური და/ან ჰისტოტოპოგრაფიული პრეპარატების გამოკვლევის დროს ყოველთვის ვერ ხერხდება აღნიშნული ნაპრალების იდენტიფიკაცია, გვადლევს ღვიძლის სისხლისძარღვების ტუმ-ჟელატინით ინიექციისშემდგომი ჰისტოლოგიური გამოკვლევის, ასევე

კოროზიული პრეპარატების მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპით გამოკვლევის შედეგები (სურ N 40,41,42).




